# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.—ოთხშაბათი, 5 ივლისი 1900 წ. № 1171

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**


## ახალი ამბავი

✦ როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ. ალ. გარსევანიშვილს თხოვნა გამოუგზავნია „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ ინსპექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო ეს თხოვნა და მისწერა ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტს წარმოადგინოს თავისი კანდიდატი ამ თანამდებობაზე.

რადგან ბ-ნი გარსევანიშვილი საზაფხულოდ რუსეთში მიდის, სკოლის გამგებლობა დროებით მიენდო იმავე სკოლის მასწავლებელს ბ-ნ მიხ. ჩინჩალაძეს.

✦ „ტფილისის ფურცელს“ დეპეშით ატყობინებენ ირკუტსკიდან, რომ ციმბირში გაგზავნილ ქართველებსა და სომხებს, რომლებიც ირკუტსკში ცხოვრობენ, სამადლობელი პარაკლისი გადაუხდიათ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ ციმბირში გადასახლების მოსპობისათვის.

✦ „მთავრობის განკარგულებათა და კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია ცნობა **ტფილისის დურგალთა ამხანაგობის** წესდების დამტკიცების შესახებ.

✦ **სპარსეთის შაჰი**, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ჩამოვა პეტერბურგში 4 ივლისს. პეტერბურგიდან შაჰი წავა ისევ ევროპაში და ინახულებს ზოგიერთ ევროპის სატახტო ქალაქებს. სექტემბრის დამდეგს კი ისევ რუსეთით დაბრუნდება ჯულფაში და აქედან სპარსეთში.

✦ უმართებულესი სენატის ახსნით, საეროზო გადასახადი არ დაედებათ იმ **სამონასტრო და საეკკლესიო მამულებს და სამრეწველო დაწესებულებს**, რომელთა შემოსავალი თვით მონასტრებისა და ეკკლესიების საჭიროებას ხმარდება.

✦ გორში **ვაჟების პროგიმნაზიის დაარსების** შესახებ ქალაქის წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს: მიენდოს ქალაქის თავს შეეკითხოს გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლს, სურს თუ არა მაზრის თავად-აზნაურობას დაეხმაროს გორში პროგიმნაზიის გახსნის საქმეს და თუ სურს, რამდენი შეუძლიან გადადოს ამ საქმისათვის. თუ რამდენს გაიღებს თვით ქალაქი, ამაზე მსჯელობა იქმნება თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან პასუხის მიღების შემდეგ.

✦ ორშაბათს, 3 ივლისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მოხსენება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ავლაბრის მკვიდრ მცხოვრებთ ითხოვეს პატარა ზომის ადგილებზე **შენობების აგების** ნება მოგვეცესო. საქმე იმაშია, რომ ქალაქის საბჭოსაგან დამტკიცებულ და 1894 წელს გამოცემულ ქალაქის სააღმშენებლო სავალდებულო დადგენილებათა მე-20 პარაგრაფის ძალით ქალაქის ახალს ნაწილებში ნება არა აქვთ შენობების აგებისა იმ მცხოვრებთ, რომელთა საკუთარი მიწა ზომით ქუჩის პირას სულ 80 ოთხ-კუთხ საჟენზე ნაკლები იქმნება; აგრეთვე ამ §-ით ქალაქის ყველა ნაწილებში პატარა ზომის ადგილებად იქმნებიან მიჩნეულნი ის ადგილნი, რომელნი ზომით 40 ოთხ-კ. საჟ. ნაკლები იქმნება, გარდა ქალაქის ძველის ნაწილისა, სადაც ადგილები შენობებისათვის შეიძლება 24 ოთხ-კუთხი საჟ. იყოს.

გამგეობამ, მიიღო რა სახეში ეს სავალდებულო დადგენილებანი და განიხილა რა მთელი ამ საქმის შესახები მასალა, დაადგინა: უარი ეყოთ აღნიშნულს მთხოვნელთ და აგრეთვე გამოეცხადოთ ადგილობრივ გაზეთების საშუალებით ქალაქის მცხოვრებთ, რომ ამიერიდან ნება არ ექნებათ ქალაქის ახალს ნაწილში პატარა ზომის ადგილებზე შენობების აგებისა, რომ ამით გაფრთხილდნენ ის ადგილების მყიდველი მცხოვრებნი, რომელთაც არ იციან ქალაქის სამმართველოს ამ საქმის შესახებ სავალდებულო დადგენილებანი.

✦ გარდასახადთა ინსპექტორთა კრებას საჭიროდ უცვნია, რომ სახელმწიფო და საერობო გარდასახადების გაწერა, მოკრეფა ერთად მოხდეს; ამითი საქმის წარმოება გამარტივდება, გაერთგვარდება და გადასახადის შეკრებისათვის საჭირო ხარჯი, რომელიც მემამულეთ აწვება, შესამჩნევად შემცირდება.

✦ „მწყემსი“-ს სიტყვით, „საქართველოს მთელს სამღვდელოებას ამ დღეებში დაურიგდა **გასაფრთხილებელი ცირკულიარული ბრძანება** სინოდალურ კანტორისაგან სხვა-და-სხვა გამოწერილობათა და მოწმობათა რიგიანად მიცემის შესახებ. ეს ბრძანება გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ თავის მოვალეობას რიგიანად ვერ ასრულებენ ჯარის-კაცად გასაწვევ პირთა შესახებ საჭირო ცნობების მიცემის საქმეში“.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ნება მისცა **ტფილისის ქალაქის თავს ბ-ნ ევანგულოვს** ორი თვით სამსახურს თავი დაანებოს და რუსეთის შიდა გუბერნიებში და საზღვარ-გარედ საქიმოდ წავიდეს.

✦ კავკასიის **საბეითალო ნაწილის გამგე ბ-ნი როძერი** მიდის დაღესტნის ოლქში, რადგანაც იქ საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია 8050 მანეთი მტკვრის შესართავში **თევზის ქარხნის მოსაწყობად**; განზრახვა აქვთ, გაამრავლონ მტკვარში ზუთხი და თართი. ამ ქარხანაში ქვირითიდან ყოველწლივ უნდა გამოიყვანონ მილიონ ნახევარზე მეტი თევზის ჭიჭყინა.

✦ ფინანსთა სამინისტრო და გზათა სამინისტრო შეთანხმდნენ, რათა შემსუბუქებულ იქმნას მიცვალებულის რკინის გზით გადატანის წესები და ტარიფი. პირველად ყოვლისა 50 პროცენტით შეამოკლებენ მიცვალებულის გადატანის ტარიფს.

✦ სამხედრო საექიმო აკადემიის პროფესორების კომისია, რომელიც იხილავდა კითხვას, თუ რამდენი უნდა ეძინოს სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობას, შემდეგ დასკვნამდე მისულა. კომისიას სამად გაუყვია ამ მხრივ მოსწავლეები: მოსწავლეებს, რომელთა ასაკი 10 წელს არ აღემატება, უნდა ეძინოთ 10-იდან 11 საათამდე; მოსწავლეებს 10 წლიდან 13-მდე უნდა ეძინოთ 9—10 საათი, დანარჩენებს კი 8—9 საათი. სუსტთ, სისხლ-ნაკლებ ბავშვებს მეტი ძილის ნება ($^1/_2$—1 საათი) უნდა მიეცეთ. რაც მოსწავლე ბევრს მუშაობს გონეირივად ან ფიზიკუ-

რად, მასაც $1/2$ ან 1 საათი მეტი უნდა ეძინოს.

✦ **აღმოსავლეთის შესწავლის საზოგადოება**, რომლის თავმჯდომარეც გენ. შვედოვია, ხსნის განყოფილებებს კავკასიაშიაც, სახელდობრ — ტფილისში, ბაქოში და ერევანში. გ-ნ შვედოვს უკვე გაუმართავს მიწერ-მოწერა სათანადო დაწესებულებებთან და, მოსალოდნელია, რომ სულ ახლო მომავალში ეს განყოფილებები გაიხსნებიან კიდეც.

✦ **შიათურის ქსენონის** ექიმად, როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდან, დაუნიშნავთ ექიმი ს. ჯაფარიძე.

✦ საქალაქო სკოლების მასწავლებლებმა, რომელთაც ზაფხულის ჯამაგირი სრულად აუღიათ, სთხოვეს ქალაქის გამგეობას—მიეცათ მათთვის კიდევ ორი თვის ჯამაგირი. გამგეობამ უარი განაცხადა ამ თხოვნაზედ.

✦ მოსკოვიდან პიატიგორსკში ჩამოსულა **მოგზაურთა პატარა ჯგუფი** სვანეთის დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილეობას იღებენ ფარმაცევტთა მაგისტრი ი. ტყეშელაშვილი, რომელიც იკვლევს კავკასიის სამკურნალო ბალახებს, ახალგაზდა კომპოზიტორი სასნოვსკი, რომელსაც ჰსურს გაეცნოს ადგილობრივ მოტივებს და სტუდენტი კუზმინი. სვანეთში მათ შეუერთდება დ—რი პლეტნიევი და სტ. ჯაფარიძე. პლეტნიევს ჰსურს გამოიკვლიოს სვანეთში გავრცელებულ ავადმყოფობის, ჩიყვის, მიზეზები.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი წიგნი „საქართველოს შესახებ ევროპიელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი“. გამოცემა (მეორე) ზ. ჭიჭინაძისა. ვინც ამ სათაურს წაიკითხავს, ეგონება, რომ წიგნში მართლა შეხვდება ევროპიელთა ცნობებს და ჩვენი მეფეების მიწერ-მოწერას საფრანგეთის მეფესთან და ინგლისის წარმომადგენელთან. მაგრამ მოლოდინი სრულებით გაუცრუვდება; წიგნში ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ შეხვდებით; არც ერთი ცნობა, არც ერთი წერილი არ არის მოყვანილი. ფრიდრიხ მეორეს მიწერ-მოწერა ჰქონდა მეფე ერეკლესთანო, ერეკლე მეფემ ერთ ქართველთაგან პატივცემულ პატრს წერილები გაატანა იმპერატორთანაო, ეს პატრი გზაში მომკვდარა, მეფემ მეორე წერილი გაუგზავნაო, 1795 წლიდან 1820-მდე ნემცებს გურული გოგო-ბიჭები უყიდნიათ, გერმანიაში წაუყვანიათ და იქ ლიუტერის რჯულზე უზრდიათო და სხვა. საიდან იცის ბ. ჭიჭინაძემ ყველა ესეები, ღმერთის მეტმა, კაცმა არ იცის. თითქმის დაწვრილებით მოჰყავს ავტორს (თუ გამომცემელს?) ვახტანგ მეფის მიერ ლუი მე-XV-ესთან წარგზავნილი პირობები და ბოლოს დასძენს— „მეფის პირობებში ბევრი კიდევ სხვა კითხვები ყოფილა ჩამოთვლილი, მაგრამ მის ცნობებმა ჩვენამდის დაწვრილებით ვერ მოაღწიეს“-ო. და იმას კი აღარ ამბობს, მისგან მოყვანილი ცნობები საიდან არის ამოკრეფილი. მთელი წიგნი ამგვარად არის შედგენილი და ვერ გაგვიგია, თუ პატივცემული ზ. ჭიჭინაძე რისთვის იწუხებდა თავს ამგვარი შრომისათვის: გაგებული მკითხველისათვის იგი სრულიად გამოუსადეგარია, რადგანაც იგი დაუსაბუთებელ, ლიტონ სიტყვას, ვისიც უნდა იყოს იგი, არ დაიჯერებს; შეუგნებელი მკითხველისათვის კი, მგონია, ბ. ჭიჭინაძე თავს არ შეიწუხებდა. ჩვენ ვურჩევთ ბ. ჭიჭინაძეს, თუ რაიმე ამგვარი მასალა მოეპოვება, შეუცვლელად გამოსცეს ან, კიდევ უკეთესი იქმნება, წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცეს გამოსაცემად.

✦ გუშინ, 2 ივლისს, საღამოს 10 საათზე, პოლიციის მე 5 ნაწილში სპარსეთის ქვეშევრდომს კნიაზ კორსნელიან მელიანცს გაუტეხია სიონის ეკლესიის წინ ჩამოკიდებული საეკლესიო ყულაბი, საიდანაც ხუთ მანეთამდე ამოუღია, ქურდი იქვე დაუჭერია ტფილისის მოქალაქეს ვარდოსანიძეს და პოლიციისათვის წარუდგენია. მელიანცი გარდაეცა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**3 ივლისს**

**პეტერბურგი.** მათ უდიდებულესობათ მიიღეს და გამოეთხოვნენ პეტერბურგიდან მიმავალს ხივის ხანის მემკვიდრეს.

ჩიფუდან საზღვაო მინისტრს შემდეგი დეპეშა მიუღია ადმირალ ალექსეევისაგან: „ტიანცზინი, 25 ივნისს. საზღვაო რაზმმა, რომელიც შემდგარია 133 კაცისაგან, მონაწილეობა მიიღო 25 ივნისს მტრის მოგერებაში; ჩინელების განზრახვა იყო რკინის გზის სადგურის აღება; მონაწილეობა მიიღო ხიდის გადებისა და მისი დაცვის საქმეში. ჯარის უფროსის სიტყვით, ჩვენის რაზმის ოფიცრები და ჯარის-კაცები მშვენიერად მოქმედობდნენ, რის მოხსენებას ჩემს მოვალეობად ვრაცხ“.

**მოსკოვი.** აქ მოვიდა იაპონიის პრინცი კან-ინი; მას მიეგება გენერალ-გუბერნატორი.

**ლოძი.** საზოგადოება „ნადეჟდას“ საწყობში დაეწვა საქონელი 400,000 მანეთისა.

**ჰონკონგი.** მოვიდა გენერალი გაზელი შტაბით.

**ტიანცზინი.** 25 ივნისს ჩინელებმა საშინელი სროლა აუტეხეს ევროპიელ ჯარების ბანაკს. ერთი ყუმბარა მოხვდა ბრიტანიის რაზმის კარავს და მოჰკლა ერთი კაცი და დასჭრა ორი. გუშინ ღამ იაპონელებმა მოიგერეს დიდი ჯარი ჩინელებისა, რომელნიც თავს დაესხნენ ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილს.

ბრიტანიის არტილერია, ქვეითი ჯარი და საზღვაო რაზმი, გერმანელთა და იაპონელთა რაზმებთან ერთად, სულ 2000 კაცი, გაემართნენ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გვერდი აუარეს მტერს, შემდეგ თავს დაესხნენ მას და ძლიერ დაამარცხეს. იმავე დროს იაპონელებმა იერიში მიიტანეს და აიღეს დასავლეთ არსენალი; შემდეგ კი არსენალი ჩინელებმა უკანვე დაიბრუნეს. 400 ჩინელია მოკლული; 6 ზარბაზანი მათ წაართვეს. იაპონიის ცხენოსანი რაზმი და არტილერია კარგად ჰმოქმედობდნენ. საღამოს ჩინელებმა კვლავ დაუწყეს სროლა ტიანცზინის ევროპიელ მოსახლეობას. ერთი ყუმბარა მოხვდა ბრიტანიის რაზმის კარავს და მოჰკლა ორი კაცი.

**ვენა.** ავსტრიელთა ქვეშევრდომების დასაცველად ჩინეთში გაიგზავნება კრეისერი „კარლ VI“ და სანაღმო გემი „ასპერნი“.

**ბერლინი.** გერმანიის კონსულმა ჩიფუში შეატყობინა შანდუნის გენერალ-გუბერნატორს, რომ იმპერატორი ჯილდოს ჰპირდება ყველა იმათ, ვინც ევროპიელთ იხსნის პეკინიდანაო. გენერალ-გუბერნატორმა უპასუხა, ძლიერ შეწუხებული ვარო იმ გარემოებით, რომ პეკინში უცხოელნი გარშემორტყმულნი არიან და რომ მათ განთავისუფლებისთვის მიღებული ზომები დღემდის უნაყოფოდ რჩებიანო; ყოველ ღონისძიებას ვიხმარ მათ სახსნელადაო.

გერმანიის მისსია ცზინინში უვნებლად არის.

გერმანიის ესკადრის უფროსი ტაკუდან დეპეშით ატყობინებს 29 ივნისს, რომ წინა ღამეს ჩინელებმა სროლა აუტეხეს ტიანცზინის აღმოსავლეთ არსენალს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. იმავე დროს იაპონელებმა დაიპყრეს ერთი მხარე ქალაქის იმ ნაწილისა, რომელიც დასახლებულია ჩინელებით. ტიანცზინი წარმოადგენს შემდეგ სურათს: რუსებს უჭირავთ აღმოსავლეთ არსენალი და დაბანაკებულნი არიან მდ. პეიხოს მარცხენა ნაპირზე; დანარჩენი ევროპიელი ჯარები სდგანან პეიხოს მარჯვენა ნაპირზე; გერმანელთ უჭირავთ უნივერსიტეტი გერმანელი მოსახლეობის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში; გერმანელების საქმეს შეადგენს დაიცვან გზა ტაკუსა და ტიანცზინის შუა; ამ გზით ევროპიელთ ყოველ დღე მოუდით შველელი რაზმები. ჩინელებს უჭირავთ ძველი სიმაგრე ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც ჩინელებით არის დასახლებული და ბანაკად სდგანან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ.

რუსების ბანაკსა და ტაკუს შუა ტელეგრაფის მუშაობა აღდგენილია. ადმირალი ალექსეევი თავის შტაბით ტიანცზინშია.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დელკასემ წაიკითხა დეპეშა შანჰაიდან 26 ივნისს გამოგზავნილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ შაჰნაის ტაოტაიმ ცნობა მიიღოვო, ვითომც იმპერატორს ბრძანება მიეცეს „დიდი მუშტის“ მომხრეთა სიკვდილით დასჯის შესახებ. შემდეგ იმპერატორი უბრძანებს პროვინციის მმართველთ—უცხოელებთან საქმეები წინანდებურად აწარმოვეთო.

**შანჰაი.** ბრიტანიის საელჩოს დამცველნი ხშირად ესხმოდნენ თავს მტერს, ჩინელების პირველი იერიში საელჩოზე მოგერებულ იქმნა მამაცურად. მათ ბევრი მოუკლეს.

**ჰონკონგი.** ლიხუნჩანგმა ბრძანება მისცა ჩინეთის მხედრობის „შავ დროშიან“ რაზმების უფროსთ—წავიდნენ პეკინისაკენ ხუთი ათასი კაცით.

**სიმლა.** ბევრი ადგილობრივი მმრთველნი ნება-რთვას თხოულობენ ჩინეთში ჯარების გაგზავნაზე.

**ტიანცზინი.** 25 ივნისს აქ მოვიდა ადმირალ ალექსეევი.

**ლონდონი.** იტყობინებიან, რომ ხუპესა და ხუნანის პროვინციებიდან ორი ათასი ქრისტიანე ჩინელი გაქცეულა. უკანასკნელ დღეებში იქ ბევრი ქრისტიანები დახოცეს ტანჯვა-წვალების შემდეგ.

მრავალი ათასი მოკრივე ვეიხიავეისაკენ მიდის. ამბოხება დღითი დღე ძლიერდება.

### 4 ივლისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა საზღვაო მინისტრის გამგეთ დროებით დანიშნოს უმთავრესი საზღვაო შტაბის უფროსი ვიცე ადმირალი აველანი ნაცვლად ვიცე-ადმირალის ტირტოვისა, რომელიც ამ ჟამად ავად არის.

„წითელი ჯვრის“ უმთავრეს მმართველობისაგან: „საშიში მდგომარეობა ჩინეთში ვალად ჰხდის რუსეთის „წითელ ჯვარს“ შეუდგეს თავის დანიშნულების ასრულებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოუაროს დაჭრილ და ავადმყოფ მეომარს. პირველი ორი საავადმყოფო წითელი ჯვრისა უკვე გაგზავნილია პორტ-არტურში და ხაბაროვსკში. ღონისძიება მიღებული მიიწვიონ „წითელ ჯვარში“ გამოჩენილი სამკურნალო ძალა, შედგენილ იქმნას მრავალი რაზმი მომვლელ ქალებისა და მომზადებულ იქმნას დაჭრილთა და ავადმყოფთათვის ყველა, რაც კი საჭიროა მათთვის. ყველა ამის მომზადება თხოულობს დიდს ხარჯს, რომელიც აღემატება „წითელი ჯვრის“ თანხას, ამისათვის უმთავრესი მმართველობა „წითელი ჯვრის“ საზოგადოებისა ჰსთხოვს ყველას, მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში; იმედია შემწეობას აღმოუჩენენ შეწირულებით მხედართა საშველად, რომელნიც ჰღვრიან სისხლს და ავად ხდებიან თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს. ფულით და ნივთით შეწირულებანი მიიღებიან საზოგადოების უმთავრეს მმართველობაში: პეტერბურგი, ინჟენერნაია, № 9 და „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ყველა განყოფილებებში რუსეთში“.

ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზის მე-2 ნაწილის უფროსი ინჟენერი რიჟოვი დეპეშით იუწყება ზაბაიკალის ოლქის ქ. დანიდან 1-ლ ივლისს: „28 ივნისს სადგურ ხაილარზე მოვიდა ჩემთან თარჯიმანი გენერლის ტზუიენისა, რომელიც განაგებს კარგად შეიარაღებულს ჩინელ ჯარს, და გამომიცხადა შემდეგი; ცაციკარის ცზიან-ცზიუნისაგან მიღებულ ბრძანების თანხმად, გენერალი ტზუენი მოვალეა გამოუცხადოს ომი რუსებს, თუ ესენი დაუყოვნებლივ არ წავლენ ჩინეთიდან. ამის შესახებ მე გავუგზავნე დეპეშა უმთავრეს ინჟენერს და ამურის მხარის გენერალ გუბერნატორს; შემდეგ შევსწყვიტე მუშაობა, ხოლო მუშები შევაგროვე სადგურზე, სადაც დამცველ რაზმის უფროსის ნება-რთვით მუშებმა დაიწყეს სიმაგრის აგება მტრის მოსაგერებლად. იმავე დღეს, 2 საათზე, მივიღე უმთავრეს ინჟენერისგან დეპეშა ჯარის დაბანაკების შესახებ რუსეთის საზღვრებზე. წავიღე—რა კასსა დ საბუთები, მე დავეკითხე დეპეშით დასავლეთ ნაწილის უფროსს, ინჟენერს ბოჩაროვს—მოუცადო თუ არა მას ხაილიარში? ამაზე პასუხი მივიღე—ეხლავ წადი რუსეთის საზღვარზეო, რადგანაც მე საკმაო ჯარი მყავსო. მაშინ მე წაველი ხაილარიდან იმავე 28 ივნისს მოიჯარადრებით, მუშებით და მსახურებით, სულ 600 კაცით, სამხედრო სავადმყოფოთი და ავადმყოფებით და მიველი 30 ივნისს, 5 საათზე, ძველ ცურუხაიტუში.“

ამურის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გრიბსკი დეპეშით იუწყება 1 ივლისს, რომ გემი „მიხეილი“, რომელიც მიდიოდა ხაბაროვსკიდან ბლაგოვეშჩენსკში არტილერიის ხუთი ნავით დატვირთული ბლაგოვეშჩენსკის გარნიზონისათვის, როდესაც დაუპირდაპირდა ჩინეთის ქალაქს ასგუნს, დილის 10 საათზე, გემს რამდენჯერმე ესროლეს ჩინეთის მხრიდან და ბაირაღით ნაჩვენებ ნიშნებით შეაჩერეს. გემიდან გაეგზავნეთ ნავით რამდენიმე კაცი, რომელთაც სოფ. სანდიგოში უთხრეთ, რომ ბრძანებით აღრკძალულია ამის ზევით მდ. ამურზე მოგზაურობა და რომ მმართველნი თხოულობენ გემის უფროსს და ოფიცერს. გემის უფროსი არ წავიდა, ხოლო ჩინელებთან გაიგზავნა შტაბს-კაპიტანი კრივცოვი ერთი ჯარის კაცით, რომელიც ხაბაროვსკიდან გაიგზავნა ბლაგოვეშჩენსკში არტილერიის ტვირთის მოსატანად. შუადღის პირველ საათზე გემს „მიხეილს“ მიუახლოვდა გემი „სელენგა“, რომელზედაც იყვნენ ამურის ოლქის კომისარი საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკი კოლშმიდტი ამურის ყაზახთა ჯარის ერთი რაზმით. პოდპოლკოვნიკმა კოლშმიდტმა უბრძანა გემებს გზა გაეგრძოთ და როდესაც გემები წავიდნენ წინ, ჩასაფრებულმა ჩინელებმა აუტეხეს თოფის სროლა და შემდეგ ესროლეს რამდენჯერმე ზარბაზნებიდანაც. ყაზახებმა პასუხი გასცეს თოფის სროლით გემიდან „სელენგა“. გემი „მიხეილ“ მოვიდა ბლაგოვეშჩენსკში. ორივე გემები დაზიანებულნი არიან. დაჭრილნი არიან პოდპოლკოვნიკი კოლშმიდტი, ოთხი ყაზახი, ორი ზღვაოსანიდა ერთი ცხენი. შტაბს კაპიტანი კრივცოვი, რომელიც ჩინელებმა დაატუსაღეს, გაგზავნილ იქმნა აიგუნის ამბანთან, რომელმაც გამოუცხადა კრივცოვს, ბრძანება მივიღე არ გავუშვა თქვენი გემებიო. შემდეგ შტაბს-კაპიტანი კრივცოვი გაგზავნილ იქმნა ბლაგოვეშჩენსკში. დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქმნა ბლაგოვეშჩენსკიდან ჯარი, რომელიც შესდგა მე-2 აღმოსავლეთ-ციმბირის ბატალიონის ორის როტისაგან, მე-2 აღმოსავლეთ-ციმბირის საარტილერიო ბრიგადის სამის რაზმისაგან და ამურის პოლკის ერთი როტისაგან. ჯარს დაევალა გზის განთავისუფლება მტრისაგან, რათა ჩვენი გემები წასულიყვნენ წინ მდ. ამურით. კვირას, 2 ივლისს, სადამოს 6 საათზე და 35 წუთზე, სრულიად მოულოდნელადუ და მიზეზოდ, ჩინელების სოფლიდან დაუწყეს სროლა ქ. ბლაგოვეშჩენსკს; სროლა თუმცა ძლიერი იყო, მაგრამ უწესრიგო და გაგრძელდა საღამოს $9^1/_2$ საათამდე. ჩვენ დავკარგეთ: მოკლულია სამი, რომელთაგან ერთი ჯარის-კაცია, დაჭრილი —ექვსი, რომელთაგან 5 ჯარის-კაცია. ბლაგოვეშჩენსკის მცხოვრებნი მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის დაცვაში და სამაგალითოდ იქცეოდნენ. ქალაქის შენობები ცოტათი არიან დაზიანებული. რამდენი დაჰკარგა ჩინელებმა, ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი. ჩვენი არტილერიის ყუმბარებმა ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს ჩინეთის სოფელში ჯარის-კაცთა სადგომი და ბევრი ქოხები.

3 ივლისს სამხედრო მინისტრმა ვიცე-ადმირალის ალექსეევისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ტიანცზინი, 26 ივნისს. დღეს უცხოელთა ჯარმა, ჩვენის ორის როტის დახმარებით, დაიჭირა დასავლეთის ნაწილის არსენალი. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია“.

შორეულ აღმოსავლეთიდან მოვიდა შემდეგი ცნობები: 23 ივნისს უსსურიის მხარის ნიკოლსკიდან იტყობინებიან: მანჯურიაში საქმეთა გარემოება საშიშოა; ყველგან ჩინელი ჯარები და მოკრივენი თანახმად მოქმედებენ. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მოძრაობა ეროვნულია და მას თანაუგრძნობს მთავრობაც.

26 ივნისს იწერებიან: იაპონია გზავნის ტაკუში კიდევ ერთ დივიზიას; ამ რიგად მარტო იაპონიის ჯარი ჩინეთში 22 ათასი კაცისაგან იქნება შემდგარი. ჯარები უკვე სხდებიან გემებზე.

29 ივნისს იტყობინებიან: ინჟენერი სვიაგინი იუწყება, რომ რკინის გზის მსახურნი მიდიან სადგურ პოგრანიჩნაისაკენ; მათ იცავს მცირე რაზმი. რუსების წასვლის შემდეგ სადგურებს ძარცვავენ. ხარბინთან მიმოსვლა შეწყვეტილია.

28 ივნისს ჯარკენტიდან იტყობინებიან, რომ კულჯაში სრული მშვიდობიანობა არ ჰსუფევს. კონსულის დასაცველად იქ გაიგზავნა ყაზახთა რაზმი.

სეულსა და პორტ-არტურს შუა 27 ივნისიდან ტელეგრაფი აღარ მუშაობს. შანჰაისა და ჩიფუს შუა კი ტელეგრაფი ცუდად მუშაობს და მოელიან, რომ მალე სრულიად შეწყდებაო.

**ვაშინგტონი.** საფიქრებელია, რომ რვასი-ათასი ჯარის კაცი მზადდება საჩქაროდ ჩინეთში გასაგზავნათ. თუ მეტი დასჭირდება ჯარი—კონგრესი იქნება მოწვეული.

**ჰააგა.** დღეს ოფიციალურად მიიღო მმართველობა ცნობა შესახებ იმისა, რომ ინგლისმა დაამტკიცა კონფერენციის დადგენილება.

**ლონდონი.** პალატა. სხვა და სხვა კითხვების პასუხად ბროდრიკმა უპასუხა, რომ ინგლისიის მმართველობის მიერ ჩინეთში მყოფ საზღვაო უფროსს ოფიცრისადმი მიცემული ბრძანებით, მან ყველა საქმეები უცხოელთა უფროსებთან შეთანხმებით უნდა გადასწყვიტოს. მოლაპარაკება მმართველობებთან შესახებ ზოგიერთი ადგილებისა. ბროდრიკმა გამოაცხადა, რომ სხვას ვერას იტყვის; რაც შეეხება იმას, შეიტანა თუ არა ინგლისიის მმართველობამ წინადადება შეერთებულ ჯარებს ჰსარდლობდეს იაპონიის ოფიცერი, ბროდრიკმა სთქვა, რომ ამისთანა წინადადება არა ყოფილა. ბალფურმა გამოაცხადა, რომ პალატას წარუდგენენ დასამტკიცებლად დამატებითი კრედიტს, რათა მიიღოს უკანასკნელი საშუალება სამხრეთ აფრიკაში საომრად. ბალფური შემდეგ აცხადებს, რომ პალატას წარუდგენენ კანონს შესახებ იმისა, რომ სათადარიგო ჯარში იმქნან ჩარიცხულნი მატროსები და საზღვაო ჯარის კაცნი 12 წლის სამსახურის შემდეგ. ბალფურს იმედი აქვს რომ სხდომები, დაიხურება 23 ივლისს.

**ბრიუსელი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო ბელგიის წარმომადგენლისაგან შანჰაიდან დეპეშა 3 ივლისს, რომელშიაც ამბობს, რომ შეერთებულმა ჯარებმა მართლა გაიმარჯვეს ტიანცზინშიო.

**ჩიფუ.** აქ გავრცელდა ხმა, რომ 30 ივნისს საერთაშორისო ჯარმა იაპონელთა წინამძღოლობით, აიღო ფორტი და ტიანზინის ჩინელთა ნაწილი; ამასთან ბევრი

იქმნა დაჭრილ-დახოცილი. ამბობენ, ვითომ შანდუნის რაზმებიც ებრძოდნენ საერთაშორისო ჯარს.

**პარიჟი.** შანჰაიში მყოფი საფრანგეთის კონსული იუწყება დეპეშით, რომ უცხოელთა ელჩნი 21 ივნისს ცოცხლები იყვნენ. ეს ცნობა დაფუძნებულია შანჰაის ტაოტასა და შენის ცნობებზე.

**ბერლინი.** ტიანცზინში მყოფი გერმანიის კონსული დეპეშით იუწყება 25, 27 და 28, რომ 25 ივნისს უცხოელთა უბანს სასტიკი სროლა აუტეხეს იაპონელებმა და რუსებმა, აიღეს 6 ზარბაზანი და მოუკლეს ჩინელებს 350 კაცი. ნემეცებმა, რუსებმა და იაპონელებმა სცადეს ამ თვის 16, ღამე, შემოევლოთ და აეღოთ ბატარეია ქალაქის ჩინელთა ნაწილის აღმოსავლეთ მხარეს, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან პანტონის ხიდი, რომელიც არხზე იყო გადებული, არ ვარგოდა. ინგლისელები, ფრანგები და იაპონელები რკინის გზის სადგურზე იმაგრებდნენ თავს, თუმცა ბევრი იქმნა მოკლულ-დაჭრილი. დილით, 26 ივნისს, უცხოელთა უბნიდან ჩინელების სროლას პასუხი გასცა ინგლისის ბატარეიამ.

**ლონდონი.** გენ. დორვალდი ტიანცზინიდან 27 ივნისს იტყობინება დასავლეთ არსენალზე იერიშის მიტანის შესახებ. დეპეშაში ნათქვამია, რომ წყალი მიუგდეს არსენალის დასავლეთ მხარეს და ამით ხელი შეუშალეს ევროპიელთა წინ სვლას. მიუხედავად ამისა ევროპიელთ მიაღწიეს მიზანს და უკან დააწევინეს მტერს დასავლეთისკენ. ეს გამარჯვება საერთაშორისო ჯარმა იაპონელთა და ამერიკელთა მეოხებით ნახა. ამავე დროს ინგლისისა და საფრანგეთის მოსახლეობას ჩინელებმა საშინელი სროლა აუტეხეს. ინგლისელთ ცოტა მოუკლეს; რუსებსა და ამერიკელებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. დორვალდი იტყობინება ჩინელების იერიშის ამბავს რკინის გზის სადგურზე და ამბობს, რომ სადგურზე იდგნენ ასი ინგლისელი, ასი ფრანგი და ასი იაპონელი. ოთხი საათის სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუ-გდებული იქმნა. ჩინელებს მოუკლეს 500 კაცი; ინგლისელებს მოუკლეს სამი და დაუჭრეს 16; ფრანგებმა და იაპონელებმა გაცილებით მეტი დაჰკარგეს.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნ ი ხ რ ი

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 გ. $8\frac{1}{2}$ კ. | |
| სუკი | . . . . . . » — 15 კ. | |
| » ცხვრისა | . . . » — $8\frac{1}{2}$ კ. | |
| » ღორისა | . . . 1 — 8 კ. | |
| » კამეჩისა | » » » — 8 კ. | |
| » ღორის ზარკალი სალორეთი | . 1 » — 10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | $3\frac{1}{2}$ | » |
| » » | III | » » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | $3\frac{1}{2}$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » » | 6 | » |
| » » | II | » » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1— | 5— |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 50 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 80 | —— |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | —9 მ. 25 კ. | № 4 | —7 » 25 » |
| № 1 | —8 » 50 » | № 5 | —7 » — » |
| № 2 | —8 » — » | № 6 | —6 » 75 » |
| № 3 | —7 » 50 » | № 7 | —6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თითო ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის ყფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.